ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის N06-01/16 დადგენილების
დანართი N1

(ამოქმედდეს 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან)

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულებით განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი') **ეკონომიკისა და ბიზნესის** ფაკულტეტის (შემდგომში – **ფაკულტეტი)** სადისერტაციო საბჭოს (შემდეგში **„სადისერტაციო საბჭო“)** შემადგენლობის განსაზღვრის, საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილის და მდივნის არჩევის, სადისერტაციო კომისიის შექმნის წესი, სადისერტაციო საბჭოს და სადისერტაციო კომისიის უფლებამოსილებები, დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის (შემდეგში - **დისერტაცია**) წარდგენის, განხილვის, შეფასების, საჯარო დაცვის, სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურების გასაჩივრების წესი და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების რეგულაცია.
2. წინამდებარე დებულება შემუშავებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ და დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების N6 დანართი) და ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების შესაბამისად.
3. ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება ადგენს ბსუ-ს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდეგში **„სადოქტორო პროგრამა“**) მიღების გამოცხადების, ჩარიცხვის, სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის შესრულების, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის, სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სადოქტორო ნაშრომის დაცვის და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების ზოგად რეგულაციას.
4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.
5. ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებისა და ამ დებულების თანახმად, დოქტორის აკადემიური ხარისხი პირს ენიჭება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად.

მუხლი 2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანოა, რომელიც ამავე ფაკულტეტის დოქტორანტებს ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების და წინამდებარე დებულების მოთხოვნათა დაცვით, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების **N6 დანართი)** და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.
3. სადისერტაციო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი, ამავე საბჭოს შემადგენლობიდან.
4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ამავე ფაკულტეტის დეკანი.
5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა სამი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი ზედიზედ შეიძლება არჩეული იქნეს მხოლოდ ორჯერ.
6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის კანდიდატურებს, საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო, ღია კენჭისყრით, სიით შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება (ფუნქციები) განისაზღვრება წინამდებარე დებულებით, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების **N6 დანართი)** და ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების შესაბამისად.
2. **ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო:**

ა) ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, პროგრამის განმახორციელებელი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით <u>ამტკიცებს სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობას</u> (რომელიც მზადდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კვლევითი მიმართულებების ფარგლებში);

ბ) ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/სამეცნიერო თანახელმძღვანელის შეცვლის თაობაზე;

გ) ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის სათაურის შეცვლის (დაზუსტების) თაობაზე, დოქტორანტის სწავლების <u>მეხუთე სემესტრის</u> დაწყებამდე, დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში;

დ) იღებს გადაწყვეტილებას სადოქტორო ნაშრომის სხვა ენაზე (დასავლეთ ევროპული ენები: ინგლისური; ფრანგული; გერმანული) მომზადების თაობაზე (ასეთ შემთხვევაში დოქტორანტმა უნდა უზრუნველყოს დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (რეფერატის) ქართულ და ინგლისურ ენაზე წარმოდგენა);
ე) იღებს გადაწყვეტილებას სადოქტორო ნაშრომის სხვა ენაზე (დასავლეთ ევროპული ენები: ინგლისური; ფრანგული; გერმანული) საჯარო დაცვის თაობაზე;
ვ) სადოქტორო ნაშრომის საერთაშორისო რეცენზიის შესახებ სამეცნიერო კვლევების სამსახურის ინფორმაციის მიღების შემდეგ 10 (ათი) დღის ვადაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ შერჩეულ 3 (სამ) შემფასებელს ამტკიცებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;
ზ) დისერტაციის საჯარო დაცვაზე შეფასების მიზნით ქმნის სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას (წევრები, თავმჯდომარე და მდივანი) და წარუდგენს დასამტკიცებლად ბსუ-ს რექტორს;
თ) სადისერტაციო კომისიის მიერ დისერტაციის საჯარო დაცვის შეფასების შემდეგ, მიღებიდან ათი კალენდარული დღის ვადაში განიხილავს საკითხს სხდომაზე და ღია კენჭისყრის შედეგად იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე;
ი) დადასტურებული პლაგიატის შემთხვევაში, გადაწყვეტილებით აბათილებს დოქტორის ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას და წარუდგენს რექტორს (დოქტორის დიპლომის სტანდარტულ დანართთან ერთად გაცემის თაობაზე რექტორის ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის და გაცემული დიპლომის გაუქმების თაობაზე, თუკი გაცემულია);
კ) ასრულებს სხვა ფუნქციებს, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების და ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.
2. სადისერტაციო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე, დამსწრეთა 2/3-ით, ღია კენჭისყრით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაწყვეტილების მისაღებად ამ დებულებით გათვალისწინებულია ფარული კენჭისყრა.
3. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/სხდომის თავმჯდომარე) და მდივანი.

მუხლი 4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და საბჭოს მდივნის ფუნქციები

1. **სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:**

ა) ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს საქმიანობას, იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს;

ბ) ამ დებულების შესაბამისად შეარჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის კანდიდატურებს და წარადგენს დასამტკიცებლად სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე;
გ) უზრუნველყოფს დისერტაციის და დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (რეფერატის) ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების ექსპერტიზას/შეფასებას და რეფერატის ქართულ და ინგლისურენოვან ვერსიას, საერთაშორისო რეცენზირების ორგანიზებისათვის გადასცემს ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურს;
დ) სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ სადოქტორო ნაშრომის საერთაშორისო რეცენზიის წარდგენის შემდეგ, 10 (ათი) დღის ვადაში შეარჩევს დისერტაციის 3 (სამ) შემფასებელს და წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით დამტკიცებისათვის;
ე) სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას, ფაკულტეტის დეკანის ვიზირებით, წარუდგენს დასამტკიცებლად ბსუ-ს რექტორს;
ვ) **კოორდინირებას უწევს:** დისერტაციის შემფასებლების გადაწყვეტილებების შესახებ დოქტორანტის წერილობით ინფორმირებას, მათი მიღებიდან ერთი თვის ვადაში; დადგენილ ვადაში დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვების შესახებ დოქტორანტის წერილობითი ინფორმირების პროცესს; დისერტაციის საჯარო დაცვამდე 15 დღით ადრე დოქტორანტის რეფერატის ბსუ–ს ვებგვერდზე განთავსებისა და დისერტაციის ერთი ეგზემპლარის ბსუ–ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკისათვის გადაცემის პროცედურას; სადოქტორო ნაშრომის და რეფერატის (ქართულ და ინგლისურ ენებზე) საჯარო დაცვამდე 15 დღით ადრე სადისერტაციო კომისიის წევრებისათვის გადაცემას;
ზ) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებას, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2. **სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,** სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას, მათ შორის უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომას, საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ცალკეულ დავალებებს, ამ დებულებით სადისერტაციო საბჭოსათვის დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.
3. **სადისერტაციო საბჭოს მდივანი:**
ა) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს საქმისწარმოებას და საბჭოს დოკუმენტაციის შენახვას, ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
ბ) აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს;
გ) უზრუნველყოფს დისერტაციის შემფასებლების გადაწყვეტილებების შესახებ დოქტორანტის წერილობით ინფორმირებას, მათი მიღებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში;
დ) უზრუნველყოფს დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვების შესახებ დოქტორანტის დადგენილ ვადაში წერილობით ინფორმირებას (შენიშვნა: შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს საჯარო დაცვის თარიღი, დრო და ადგილი; შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს დაცვისათვის მოსამზადებლად ეძლევა არანაკლებ 15 კალენდარული დღისა);

ე) უზრუნველყოფს დისერტაციის საჯარო დაცვამდე 15 დღით ადრე დოქტორანტის რეფერატის განთავსებას ბსუ–ს ვებგვერდზე, ხოლო დისერტაციის ერთი ეგზემპლარის გადაცემას ბსუ–ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკისთვის;
ვ) ორგანიზებას უწევს სადოქტორო ნაშრომისა და რეფერატის (ქართულ და ინგლისურ ენებზე) საჯარო დაცვამდე 15 დღით ადრე სადისერტაციო კომისიის წევრებისთვის გადაცემას;
ზ) კონსულტაციას უწევს დოქტორანტს, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს, ამ დებულებითა და ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადების და დისერტაციის საჯარო დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით;
თ) ახორციელებს ბსუ-ს დოქტორანტურისა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.
4. ბსუ-ს დოქტორანტურისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნების შესრულების პროცესში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოს მდივანი თანამშრომლობენ ფაკულტეტის მართვის ორგანოებთან, სამეცნიერო კვლევების სამსახურთან და რექტორის მოადგილესთან.

მუხლი 5. სადოქტორო პროგრამის კომპონენტების შესრულება და დისერტაციის საჯარო დაცვისათვის წარდგენა

1. სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტი (არაუმეტეს 60 კრედიტი) გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სალექციო კურსებსა და სემინარებს, ხოლო კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადოქტორო ნაშრომის შესრულებას.
2. დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
3. დოქტორანტის მიერ შესრულებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს დისერტაციის საჯარო დაცვისათვის წარდგენის წინაპირობას.
4. დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (რეფერატის) და დისერტაციის სტრუქტურის (ტექნიკური პარამეტრების) მომზადების, წარდგენის, საერთაშორისო რეცენზირების, დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის წინასწარი განხილვის (აპრობაციის), საჯარო დაცვის მიზნით სადისერტაციო საბჭოსათვის წარდგენის წინაპირობები, მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენის წესი და პროცედურა განისაზღვრება ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით.

მუხლი 6. დისერტაციის საჯარო დაცვისათვის სადისერტაციო კომისიის შექმნა

1. სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვაზე შეფასების მიზნით ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ იქმნება სადისერტაციო კომისია (კენტი რაოდენობით, მინიმუმ შვიდი წევრი, მათ შორის თავმჯდომარე და მდივანი). სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.
2. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა შევიდეს საქართველოს ან/და უცხოეთის, არანაკლებ ორი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების (უსდ), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი.
3. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში, სფეროს თავისებურების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება შევიდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი.
4. სადისერტაციო კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს **დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი** და მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში შესაბამისი დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით.
5. სადისერტაციო კომისიის მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.
6. სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას სადისერტაციო კომისიის დამტკიცების თაობაზე.

მუხლი 7. სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვა და შეფასება
1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია. დისერტაციის საჯარო დაცვა ხდება სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. საჯარო დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
2. დისერტაციის საჯარო დაცვამდე 15 დღით ადრე სადოქტორო ნაშრომი და რეფერატი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) გადაეცემა სადისერტაციო კომისიის წევრებს და ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას.
3. სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვამდე 15 დღით ადრე რეფერატი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ დისერტაციის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე წარდგენას (პრეზენტაცია), სამეცნიერო დისკუსიას, სადისერტაციო კომისიის შეფასებას, კერძოდ:
ა) სადისერტაციო კომისიის მდივანი წარადგენს ინფორმაციას დოქტორანტის და სადოქტორო ნაშრომის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით;
ბ) დოქტორანტი წარადგენს სადოქტორო ნაშრომს (პრეზენტაციის ხანგრძლივობა 30 წუთი);
გ) საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნის წარდგენა;
დ) შემფასებელთა (სადისერტაციო კომისიის წევრების) გამოსვლა და სადოქტორო ნაშრომის ანალიზი;
ე) დოქტორანტის პასუხი შემფასებელთა მიერ დასმულ შეკითხვებზე, რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე;
ვ) შეკითხვები დოქტორანტისადმი, სამეცნიერო დისკუსია, აზრის გამოთქმა;

ზ) სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ სადოქტორო ნაშრომის შეფასება, ფარული კენჭისყრით;
თ) ფარული კენჭისყრის ოქმის დამტკიცება და სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის შემაჯამებელ გამოსვლა.
5. დისერტაციის საჯარო დაცვა სრულდება სადისერტაციო კომისიის მიერ მისი შეფასებით. **შეფასების კრიტერიუმებია:**
ა) საკვლევი თემის აქტუალურობა;
ბ) გამოყენებული კვლევის მეთოდების რელევანტურობა;
გ) მეცნიერული სიახლე;
დ) დარგის განვითარებაში დოქტორანტის მიერ შეტანილი წვლილი;
ე) კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების დასაბუთება.
6. სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასება **სადისერტაციო კომისიის მიერ** ხდება კონფიდენციალურად (ასქულიანი სისტემით). დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიას გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას, შემდეგი სისტემის მიხედვით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები;
7. ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის ინდივიდუალური შეფასების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეფასების შემაჯამებელი (ხმის დამთვლელი კომისიის) ოქმის ფორმები მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
8. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის შეფასებას და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დოქტორანტს აცნობს ზეპირად, ხოლო კომისიის მდივანი სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილებას წერილობით (სადისერტაციო კომისიის ოქმიდან ამონარიდის სახით) უგზავნის დოქტორანტს და სადისერტაციო საბჭოს.
9. **დისერტაციის საჯარო დაცვის შედეგად:**

ა) დადებითი შეფასების („ფრიადი“, ,,ძალიან კარგი“, ,,კარგი“, ,,საშუალო“, ,,დამაკმაყოფილებელი“) მიღების შემთხვევაში - ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტს ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;
ბ) ,,არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების მიღების შემთხვევაში - დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადოქტორო ნაშრომის წარდგენის <u>უფლება ერთი წლის შემდეგ;</u>
გ) ,,სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების მიღების შემთხვევაში - დოქტორანტი კარგავს იგივე სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

მუხლი 8. დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება

1. თუ დოქტორანტი არ ეთანხმება დისერტაციის საჯარო დაცვის შედეგად სადისერტაციო კომისიის შეფასებას ან მიიჩნევს, რომ დარღვეულია სადოქტორო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმები, მას უფლება აქვს, შეფასების გამოცხადებიდან (გაცნობიდან) 5 კალენდარული დღის ვადაში საჩივრით (აპელაცია) მიმართოს ბსუ-ს რექტორს და გაასაჩივროს სადისერტაციო კომისიის შეფასება.
2. დოქტორანტის სააპელაციო განაცხადში უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და საჩივრის არგუმენტები. ამასთან, გასაჩივრების საგანი შეიძლება იყოს: ა) სადისერტაციო კომისიის შეფასება; ბ) სადოქტორო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმების დარღვევა, რომელმაც იმოქმედა სადოქტორო ნაშრომის დაცვის შედეგებზე.
3. დოქტორანტის საჩივრის (სააპელაციო/საპრეტენზიო განაცხადის) საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ბსუ-ს რექტორი ამტკიცებს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას (არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით, მათ შორის: შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და არანაკლებ სამი წევრი, რომლებიც არ იყვნენ აპელანტი დოქტორანტის დისერტაციის შემფასებელი სადისერტაციო კომისიის წევრები და რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესაბამისი დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით).
4. სააპელაციო კომისია საჩივარს განიხილავს, შეისწავლის საქმეს და სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:
ა) აკმაყოფილებს საჩივარს და საკითხს განსახილველად უბრუნებს სადისერტაციო საბჭოს (რომელიც უზრუნველყოფს სააპელაციო კომისიის მიერ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას და პროცედურების წარმართვას, ამ დებულებისა და ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების მოთხოვნათა დაცვით);
ბ) არ აკმაყოფილებს საჩივარს და უცვლელად ტოვებს დისერტაციის დაცვის საკითხზე მიღებულ (გასაჩივრებულ) გადაწყვეტილებას.

5. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია დოქტორანტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მოიწვიოს საჩივრის/აპელაციის განხილვაზე, <u>არაუგვიანეს 1 დღით ადრე.</u> სააპელაციო კომისია ვალდებულია საჩივრის განხილვის შედეგად მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და გააცნოს დაინტერესებულ მხარეებს, გადაწყვეტილების მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში.
6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.
7. სადოქტორო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურა, რომელიც არ რეგულირდება ამ დებულებით, საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
8. დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრების რეგულაცია უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. გასაჩივრების პროცედურები (წინამდებარე დებულება, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება და სხვა სამართლებრივი აქტები) საჯაროა და ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე, დოქტორანტებისა და დაინტერესებული პირებისათვის.

მუხლი 9. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. დისერტაციის საჯარო დაცვის შეფასების თაობაზე სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილებას განიხილავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, მიღებიდან არაუგვიანეს ათი კალენდარული დღის ვადაში, ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და ბსუ-ს დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვის სადისერტაციო კომისიის მიერ დადებითად შეფასების გათვალისწინებით, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტს ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რომლის ფორმულირება ხდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.
3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნით გამართულ სადისერტაციო საბჭოს სხდომას ესწრება სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე, დოქტორანტი და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.
4. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ დამსწრეებს ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე.
5. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნით გამართულ სხდომაზე საჭიროების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს წევრს უფლება აქვს, ნაშრომთან დაკავშირებით დაუსვას შეკითხვები დოქტორანტს და მოითხოვოს მისგან განმარტებები.
6. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო იღებს ღია კენჭისყრით.

მუხლი 10. სადოქტორო ნაშრომის გამოქვეყნება, დოქტორის დიპლომი და დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

დოქტორანტის მიერ სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვის შემდეგ, სადოქტორო ნაშრომის გამოქვეყნებისა და დიპლომის სტანდარტული დანართით გაცემის, ასევე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლები განისაზღვრება ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით.